Fundacja Praesterno
ul. Widok 22/30, 00-023 Warszawa
tel. +48 601 311 454 • biuro@praesterno.pl
www.praesterno.pl

Program profilaktyczny KOMPAS 2.0
Профілактична програма КОМПАС 2.0
პრევენციული პროგრამა კომპასი 2.0

პროგრამის განმახორციელებელთა ტრენინგების მეფასების ანგარიში

2021 წლის დეკემბერი

Ministerstwo Zdrowia

Krajowe Centrum Przeciwdziałania Uzależnieniom

NPZ NARODOWY PROGRAM ZDROWIA

Zadanie współfinansowane ze środków Narodowego Programu Zdrowia na lata 2021–2025

შინაარსი

შინაარსი **2**

შესავალი **3**

პროგრამის განმახორციელებელთა ტრენინგის პროცესი **5**

დიაგრამა. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის კასკადური სატრენინგო სტრუქტურა 5

ჩატარებული ტრენინგების შეფასება **9**

ქართველი ტრენერების ტრენინგი 9

დატრენინგებული ტრენერების სოციოდემოგრაფიული მონაცემები *9*

ტრენინგის შეფასება მასში მონაწილე ტრენერების მიერ. *10*

ტრენინგის მონაწილეების თავისუფალი კომენტარები. *17*

პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ქართველ,უკრაინელ და პოლონელ განმახორციელებელთა ტრენინგი 19

დატრენინგებული პირების სოციოდემოგრაფიული მონაცემები. *19*

ტრენინგების შეფასება მონაწილეთა მიერ. *22*

ცხრილების, დიაგრამების და სხვა გრაფიკული ელემენტების ჩამონათვალი **33**

დანართები **34**

დანართები **34**

დანართი 1. სატრენინგო პროგრამის შეფასების ფურცელი *35*

დანართი 2. ტრენერთა ტრენინგი – ცხრილები *38*

დანართი 3. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებელთა ტრენინგი – ცხრილები *41*

შესავალი

2021 წლის 26 აპრილიდან ფონდი „პრაესტერნო“ პოლონეთის ალკოჰოლური პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო სააგენტოსთან დადებული №31/17/2021/DRM ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ორწლიან პროექტს – „უნივერსალური პრევენციის პროგრამის იმპლემენტაცია და მისი რეალიზების პროცესის შეფასება პოლონეთში და აღმოსავლეთ ევროპის მინიმუმ ორ სხვა ქვეყანაში“ (საკონკურსო ამოცანის 17/2021/DRM ფარგლებში). პროექტის დასრულება დაგეგმილია 2022 წლის 15 დეკემბრისთვის.

ამოცანის მიზანია სარისკო ქცევების პრევენციული პროგრამების შეთავაზების სპექტრის გაფართოება რომლებიც დაყრდნობილნი იქნებიან მეცნიერულ საფუძვლებზე და ხელმისაწვდომნი იქნებიან პოლონეთში, უკრაინასა და საქართველოში. ამოცანის მიზანს ასევე წარმოადგენს ცოდნის გაღრმავება მაკროსოციალური ფაქტორების თემაზე რომლებიც დაკავშირებულნი არიან პრევენციული ღონისძიებების განხორციელებასთან და უნივერსალური პრევენციის სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო დონეზე.

პროგრამა ხორციელდება ფონდ „პრაესტერნოს“ მიერ, თბილისის (საქართველო) „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“, ლვოვის (უკრაინა) ეროვნულ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

სარისკო ქცევების უნივერსალური პრევენციის პროგრამა „კომპასი“ შეიქმნა პოლონურ-ქართული პროექტის ფარგლებში რომლის დასახელებაცაა: „ნარკომანიის პრევენციის სისტემის მხარდაჭერა საქართველოში“. პროექტს 2018–2019 წლებში ახორციელებდა ფონდი „პრაესტერნო“ „პოლონეთის ნარკომანიის პრევენციის ეროვნული ბიუროს“ დაკვეთით.

ზემოხსენებულ სამ ქვეყანაში დანერგილი პროგრამა „კომპასი 2.0“ წარმოადგენს უნივერსალური პრევენციის პროგრამას რომელიც რომელიც გათვლილია 13–15 წლის მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე. მისი მიზანია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების შეზღუდვა (ალკოჰოლი, თამბაქო, ნარკოტიკული ნივთიერებები) და აგრეთვე ექსპერიმენტული მოხმარების ფაზიდან პრობლემური მოხმარების ფაზაზე გადასვლის დაყოვნება. პროგრამა შედგება მოსწავლეებისთვის გამიზნული 10 გაკვეთილისგან რომლებიც 45-წუთიანი ხანგრძლივობისაა. ეს გაკვეთილები ინტერაქტიული მეთოდით ტარდება. მოსწავლეებთან მუშაობის ძირითადი მეთოდები შემდეგია: დისკუსიები მცირე ჯგუფებში, გონებრივი შტურმი, ჯგუფურად შესასრულებელი დავალებები, სავარჯიშოები წყვილში ან ინდივიდუალურად, ვიქტორინები და საინტეგრაციო თამაშები. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეთა მშობლების / მეურვეების თანამონაწილეობას რაც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: შეხვედრები მშობლებთან, დავალებები რომლებიც მშობლებმა და შვილებმა ერთად უნდა შეასრულონ და აგრეთვე საგანმანათლებლო მასალები. პროგრამის ფარგლებში მომზადდა მასალები განმახორციელებლებისათვის, მოსწავლეებისათვის და ასევე მშობლებისათვის / მეურვეებისათვის:

- ✶ პროგრამის განმახორციელებლის სახელმძღვანელო (მასწავლებელი, აღმზრდელი, პედაგოგი ან სკოლის ფსიქოლოგი) რომელიც შეიცავს მეცადინეობათა სცენარებს და აგრეთვე დამატებით გადასამრავლებელ მასალებს (პროგრამაში მონაწილეობაზე თანხმობის ფორმულარები, მშობელთა შეხვედრაზე მოსაწვევი ბარათები, მშობელთა შეხვედრის მოსამზადებელ პროცესში გამოსაყენებელი მასალები, მოსწავლეთა დიპლომების შაბლონები).

- ✶ მოსწავლის რვეული სამუშაო ფურცლებით და აგრეთვე მოკლე ინფორმაციებით რომლებიც მეცადინეობათა თემატიკას შეეხება.

- ✶ სახელმძღვანელო მშობლებისათვის/მეურვეებისათვის რომლებიც პროგრამაში იღებენ მონაწილეობას.

პროგრამა „კომპასი“ შემუშავდა 2018–2019 წლებში საქართველოში განხორციელებული პროგრამის ფარგლებში. იგი „პოლონეთის ნარკომანიის პრევენციის ეროვნულ ბიუროსთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდებოდა და მისი წინასწარი ვერსია 13–15 წლის ასაკის მოსწავლეებისათვის 10 შერჩეულ კლასში ჩატარდა. მაფორმირებელი შეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავდა (ამჟამად განხორციელების პროცესში მყოფი ამოცანის ფარგლებში) პროგრამის ფინალური ვერსია დასახელებით - „კომპასი 2.0“.

პროგრამის განმახორციელებელთა ტრენინგის პროცესი

პროგრამა „კომპასის“ პირველი განმახორციელებლები (9 ადამიანი) დატრენინგდა მენტორების მიერ (პრევენციის გამოცდილი სპეციალისტები) 2018 წელს, საქართველოში. ამ პირებმა საქართველოს სკოლების 10 შერჩეულ კლასში 2019 წელს ჩაატარეს პროგრამის პირველი ფაზა.

ამჟამად განხორციელების პროცესში მყოფი პროგრამის ფარგლებში ხსენებული 9 ადამიანიდან 6 ადამიანი მიწვეულ იქნა პროგრამაში მონაწილეობის გასაგრძელებლად. ეს პირები მენტორებმა მოამზადეს რათა მათ შემდგომში როგორც ტრენერებს ჩაეტარებინათ მასწავლებელთა ტრენინგები. თავის მხრივ, დატრენინგებული მასწავლებლები 2022 წელს ჩაატარებენ პროგრამა „კომპასი 2.0“-ს. შეფასების პროცესის ერთ-ერთი ელემენტია იმის დადგენა თუ რამდენად ამართლებს თავის თავს ტრენინგის ეს კასკადური მოდელი:

მენტორები → ტრენერები → პრევენციული პროგრამის განმახორციელებლები

აგრეთვე უნდა დადგინდეს, აძლევს თუ არა კასკადური მოდელი იმ ტრენერებს ეფექტურად მომზადების საშუალებას პროგრამა „კომპასი 2.0“-ს ჩასატარებლად განმახორციელებელთა შემდეგი ჯგუფისათვის, რომლებმაც: გაიარეს ტრენერთა წინასწარი ტრენინგი (მეცადინეობათა 24 საათი), ჩაატარეს პროგრამა „კომპასი“ (თითოეულმა თითო კლასში) და შემდგომში მომზადებულნი იქნენ მენტორების მიერ (მეცადინეობათა 24 საათი).

დიაგრამა. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის კასკადური სატრენინგო სტრუქტურა

პოლონეთსა და უკრაინაში აქამდე პროგრამა „კომპასი“ არ განხორციელებულა და ამიტომაც ამჟამინდელ პროგრამაში მენტორები ყოველ ქვეყანაში პრევენციული პროგრამის 10 განმახორციელებელს დაატრენინგებენ. თითოეული დატრენინგებული განმახორციელებელი პრევენციულ პროგრამას ჩაატარებს თითო კლასში.

თუკი საქართველოში კასკადური სატრენინგო პროცედურა გაამართლებს, მაშინ პროგრამის განმახორციელებლები პოლონეთსა და უკრაინაში რომლებიც დატრენინგდნენ პრევენციული პროგრამის ჩასატარებლად და რომლებსაც გააჩნიათ პროგრამა „კომპასი 2.0“-ის რეალიზების გამოცდილება ცალკეულ კლასებში – მზად იქნებიან ტრენერთა ტრენინგის გასავლელად რომლის ფარგლებშიც მომზადდებიან პროგრამა „კომპასი 2.0“-ის შემდგომი განმახორციელებლები.

ეს ეტაპი სცილდება ამჟამინდელი პროგრამის ფარგლებს მაგრამ თუკი პროგრამა „კომპასი 2.0“ რეკომენდებული პროგრამების სისტემაში მოხვდება – პრევენციული პროგრამის დატრენინგებული განმახორციელებლების მიერ ტრენერთა მოსამზადებელი ტრენინგის გავლა მიმზიდველი პერსპექტივა იქნება რადგანაც მათ საშუალება მიეცემათ რომ

უნივერსალური პრევენციის რეკომენდებული პროგრამის „კომპასი 2.0“-ის სერტიფიკატი მოიპოვონ.

პროგრამა „კომპასის“ კასკადურ სატრენინგო სტრუქტურას აქვს შანსი რომ დაეხმაროს პროგრამის განვითარებასა და გავრცელებას ზემოთ ნახსენებ სამივე ქვეყანაში. მას შეუძლია ხელი შეუწყოს პროგრამის შემდგომ ფუნქციონირებას და მის მდგრადობას დროში, მას შემდეგაც კი რაც ამჟამინდელი პროექტი დასრულდება და ფინანსური მხარდაჭერა შეწყდება.

დიაგრამა 1. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის კასკადური სატრენინგო სტრუქტურა



ტრენინგების ორგანიზების შესაძლებლობა რომლებიც პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ტრენერის სერტიფიკატის მოპოვების საშუალებას იძლევიან

პროგრამა „კომპასი 2.0“-ის სერტიფიცირებული ტრენერების მიერ პროგრამა „კომპასი 2.0“-ის შემდგომი განმახორციელებლებისთვის ტრენინგების შეთავაზება

2021 წელს პოლონელი მენტორების წყვილმა კასკადური მეთოდიკის მიხედვით საქართველოში ჩაატარა 6 ტრენერის ტრენინგი (მონაწილეები წარმოდგენილნი იყვნენ იმ ჯგუფიდან რომლებმაც სასკოლო კლასებში პროგრამის პირველი საცდელი ვერსია ჩაატარეს). ტრენინგის მიზანი იყო პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ახალი განმახორციელებლების მომზადება (3-დღიანი ტრენინგი, მთლიანობაში მეცადინეობათა 24 საათი).

ტრენერებმა წყვილებად სამ ჯგუფში ჩაატარეს ტრენინგი, მთლიანობაში 18 ადამიანისთვის. ტრენინგის მიზანი იყო ამ ადამიანების მომზადება პროგრამა „კომპასი 2.0“-ს ჩასატარებლად. მეცადინეობები სამ ქალაქში მიმდინარეობდა: თელავში (პატარა ქალაქი), ქუთაისში (საშუალო ქალაქი) და თბილისში (დიდი ქალაქი). პროგრამა „კომპასი 2.0“ გრაფიკის მიხედვით 2022 წლის პირველ ნახევარში ამ სამ ქალაქში ჩატარდება, 18 სასკოლო კლასში,.

სურათი 1. იმ ქალაქების ადგილმდებარეობა რომლებშიც ჩატარდა პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებელთა ტრენინგების ქართული ნაწილი.

მენტორებმა აგრეთვე ჩაატარეს 24-საათიანი მოსამზადებელი ტრენინგი პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ჩასატარებლად:

- 10 ადამიანი უკრაინაში,
- 10 ადამიანი პოლონეთში.

ქვემოთ მოცემულ შემაჯამებელ ცხრილში წარმოდგენილია პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების მონაცემები.

ცხრილი 1. „კომპასი 2.0“, კადრების ტრენინგების გრაფიკი

რიგითი ნომერი	ტრენინგის ჩამტარებელი	დატრენინგებული პირები	დატრენინგებული პირების რაოდენობა	ტრენინგის ადგილი	ტრენინგის დრო
1.	პოლონელი მენტორები (2 ადამიანი)	ტრენერები - საქართველო	6	თბილისი	9-11 ოქტომბერი 2021
2.	პოლონელი მენტორები (2 ადამიანი)	პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებლები - პოლონეთი	10	კონსტანჩინი	10-12 ნოემბერი 2021
3.	ქართველი ტრენერები (2 ადამიანი)	პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებლები – საქართველო	6	თელავი	26-28 ნოემბერი 2021
4	ქართველი ტრენერები (2 ადამიანი)	პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებლები – საქართველო	6	ქუთაისი	3-5 დეკემბერი 2021
5	ქართველი ტრენერები (2 ადამიანი)	პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებლები – საქართველო	6	თბილისი	5-7 დეკემბერი 2021
6	პოლონელი მენტორები (2 ადამიანი)	პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებლები – უკრაინა	10	ლვოვი	10-12 დეკემბერი 2021
		მთლიანად	**38 ადამიანი**		

ჩატარებული ტრენინგების შეფასება

ქართველი ტრენერების ტრენინგი

დატრენინგებული ტრენერების სოციოდემოგრაფიული მონაცემები

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო ექვსმა ქალბატონმა – 2019 წლის პროგრამა „კომპასის“ განმახორციელებლებმა.

დიაგრამა 1. ტრენინგის მონაწილეთა ასაკი



ერთი დატრენინგებული პირის ასაკი იყო 28 წელი, ერთის – 30 წელი, ერთის 38 წელი. სამი მონაწილე იყო მინიმუმ 50 წლის ასაკის: ერთი – 50 წლის, ერთი – 51 წლის და ერთი – 54 წლის.

დიაგრამა 2. ტრენინგის მონაწილეთა პროფესია



მონაწილეთაგან ერთი მასწავლებელია, დანარჩენი ხუთი კი ფსიქოლოგები.

ტრენინგის შეფასება მასში მონაწილე ტრენერების მიერ

სატრენინგო პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა შეავსეს სატრენინგო პროგრამის შეფასების ფორმულარი (დანართებში).ფორმულარი შედგებოდა 10 დახურული კითხვისგან, მეტრიკისაგან და ერთი ღია კითხვისაგან რომელზეც მონაწილეს თავისუფალი კომენტარი უნდა გაეკეთებინა.

ტრენინგის იმ 10 ასპექტის შორის რომლებზეც ყურადღება იქნა გამახვილებული – ხუთმა მონაწილეთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ტრენინგის ყველაზე მაღალი ქულებით შეფასებულ ასპექტებს წარმოგიდგენთ დიაგრამა № 3.

დიაგრამა 3. ტრენინგის ასპექტები რომლებიც მისაღებია მაქსიმალურად და გამონაკლისის გარეშე



ტრენინგის ყველა მონაწილე (6 ადამიანი) ნამდვილად კმაყოფილი დარჩა ტრენინგის ჩატარების მეთოდით და ნამდვილად დადებითად აფასებენ ტრენინგის ჩამტარებელთა კომპეტენციებსა და მომზადების დონეს. თვითონ ტრენინგს აფასებენ როგორც ნამდვილად საინტერესოს, მათთვის მთლიანად მისაღებია ტრენინგის ხანგრძლივობა (3 დღე, მეცადინეობათა 24 საათი) ხოლო გამოყენებულ სატრენინგო მასალებს აფასებენ როგორც ნამდვილად კარგს.

დიაგრამა 4. შეფასება იმისა თუ რამდენად მოამზადა ტრენინგმა პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებლები თავიანთი ტრენინგების ჩასატარებლად



ყველა მონაწილემ მიიჩნია რომ ტრენინგმა ისინი საკმარის დონეზე მოამზადა პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებელთათვის ტრენინგის ჩასატარებლად. ერთმა მონაწილემ გასცა პასუხი: *„უფრო კი“*, ხუთმა მონაწილემ კი მიუთითა რომ *„ნამდვილად კი“*.

დიაგრამა 5. შეფასება იმისა თუ რამდენად შეესაბამება ტრენინგის შესახებ თავდაპირველად გაჟღერებული ინფორმაცია მის შემდგომ განხორციელებას



ყველა მონაწილემ მიიჩნია რომ ტრენინგის შესახებ თავდაპირველად გაჟღერებული ინფორმაცია ნამდვილად შეესაბამებოდა მის შემდგომ განხორციელებას. ერთმა მონაწილემ გასცა პასუხი: *„უფრო კი“*, ხუთმა მონაწილემ კი მიუთითა რომ *„ნამდვილად კი“*.

დიაგრამა 6. სატრენინგო პროგრამის სირთულის დონის შეფასება



მხოლოდ ორმა მონაწილემ ჩათვალა რომ სატრენინგო პროგრამის სირთულე იყო შესაბამისი. ოთხი მონაწილის აზრით სატრენინგო პროგრამა იყო ძალზე ადვილი.

დიაგრამა 7. პროგრამის ინტენსიურობის შეფასება



მონაწილეთა ნახევარმა ჩათვალა რომ პროგრამა ოპტიმალურად ინტენსიური იყო. მეორე ნახევრის აზრით პროგრამა იყო „პრინციპში ძალზე ინტენსიური“ (1 მონაწილე) ან „ნამდვილად ძალზე ინტენსიური“ (2 მონაწილე).

დიაგრამა 8. ტრენინგის განხორციელების პირობების შეფასება (ადგილი, სალექციო დარბაზები, კვება)



ტრენინგის განხორციელების პირობები ყველა მონაწილემ შეაფასა როგორც კარგი, აქედან ერთმა მონაწილემ შეაფასა როგორც „პრინციპში კარგი“ ხოლო ხუთმა მონაწილემ შეაფასა როგორც „ნამდვილად კარგი“.

ტრენინგის მონაწილეების თავისუფალი კომენტარები

ღია შეკითხვაზე მონაწილეებმა შემდეგი კომენტარები გააკეთეს:

მონაწილე A

ჩემთვის პატივია ამ პროექტში მონაწილეობა. მიხარია რომ გუნდი ვისთან ერთადაც მიწევს მუშაობა ძალიან შეკრული, მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებულია.

იმედი მაქვს რომ „კომპასი 2.0“ ერთობლივი ძალისხმევით იქნება ძალიან წარმატებული.

მადლობა!

მონაწილე B

ტრენინგის შემდეგ ბევრად უფრო თავდაჯერებული და გაძლიერებული ვარ პედაგოგებთან სამუშაოდ.

მოვახდინე პროგრამის ხელახალი ორგანიზება გონებაში, ხელახლა გავიარე ყველა გაკვეთილი. იქ სადაც რაიმე სირთულეს ვაწყდებოდი გადავამუშავე და მგონია ამ ტრენინგის წყალობით ხარისხიანად შევძლებ პედაგოგების დატრენინგებას.

და რაც ასევე მნიშვნელოვანია - წყვილებში გადავთამაშდით და ერთად მუშაობისთვის მოვემზადეთ.

მადლობა!

მონაწილე C

პირველ რიგში მადლობა ამ პროექტისთვის რომელმაც შესანიშნავი გამოცდილება შემძინა. ჩემთვის გამორჩეული და ღირებულია იმითაც რომ მის შექმნასა და ადაპტირებაში აქტიურად ვიყავით ჩართული და მაქსიმალურად იქნა ჩვენი შეხედულებები გათვალისწინებული.

თანამშრომლობისა და გუნდურობის საოცარი მაგალითია ეს ტრენინგი რომელიც დასამახსოვრებელი იყო თავისი აქტივობებითა და საინტერესო თემებით.

მადლობა კოლეგებს და ბედნიერი ვარ მათთან ურთიერთობით.

მონაწილე D

დიდი მადლობა ტრენერებს პოზიტიური განწყობისა და პროფესიონალური უკუკავშირისთვის!

მონაწილე E

მოლოდინი მქონდა რომ ტრენინგი იქნებოდა ინფორმაციული და სახალისო, იქნებოდა ტრენერების კეთილგანწყობა და უშუალობა, ჯგუფის წევრების მაღალი პროფესიონალიზმი, განხორციელებული პროგრამის სიყვარული და დაგროვილი ცოდნა.

ეს ყველაფერი გამართლდა. მადლობა ყველას - ორგანიზატორებს, ჩემი ჯგუფის წევრებს, პოლონელ მეგობრებს!

მონაწილე F

მადლობა იმისთვის რომ ისევ მომეცა შესაძლებლობა აღნიშნულ პროგრამაში მიმეღო მონაწილეობა! მახარებს ფაქტი რომ პროგრამა „კომპასი“ გრძელდება. მნიშვნელოვანია მოზარდობის ასაკში ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება და გამყარება.

უფრო მეტად გამყარდა ის დადებითი განწყობილება რაც პირველი შეხვედრისას ჩამომიყალიბდა. დიდი მადლობა ტრენერებს და კოორდინატორს! ამ შეხვედრებმა უფრო მეტი გამოცდილება მომცა.

პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ქართველ, უკრაინელ და პოლონელ განმახორციელებელთა ტრენინგი

დატრენინგებული პირების სოციოდემოგრაფიული მონაცემები

დიაგრამა 9. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განსახორციელებლად მოსამზადებელი ტრენინგების მონაწილეთა პროცენტული გადანაწილება ქვეყნებისა და ქალაქების მიხედვით



საქართველოში ის პირები რომლებიც კლასებში პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განსახორციელებლად ემზადებოდნენ, სამ ექვსკაციან ჯგუფში იყვნენ გადანაწილებულნი და ფორმით გადიოდნენ ტრენინგს: 6 განმახორციელებელი იყო თელავიდან, 6 თბილისიდან და ამდენივე ქუთაისიდან. თითოეულ ჯგუფს უძღვებოდა ორი ადრე დატრენინგებული ტრენერი (იხილეთ დიაგრამა 1. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის კასკადური სატრენინგო პროგრამა). ტრენინგებიდან თითოეული მოიცავდა მეცადინეობის 24 საათს.

პოლონეთის შემთხვევაში განმახორციელებელთა ტრენინგი ჩატარდა ქალაქ კონსტანჩინის ტრენინგ-ცენტრში. სტაციონარულად ტრენინგში შვიდმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. სამი ადამიანი კოვიდ-პანდემიით გამოწვეული კარანტინის გამო ტრენინგში ონლაინ ფორმით მონაწილეობდა (რაც „ზუმის“ პლატფორმის დახმარებით ხორციელდებოდა). ოთხი მონაწილე იყო ქალაქ ბიდგოშჩიდან, სამი ვარშავის მაცხოვრებელია, ორი ქალაქ ლაბიშინში ცხოვრობს ხოლო ერთი კრუშინში. ტრენინგს ატარებდა ორი პოლონელი მენტორი და იგი 24 საათს მოიცავდა.

უკრაინაში განმახორციელებელთა ტრენინგი ჩატარდა ქალაქ ლვოვში, სასტუმრო „ტაურუსში“. მასში მონაწილეობა მიიღო ათმა ადამიანმა: ხუთი მათგანი იყო ლვოვიდან,

დანარჩენი ხუთი კი ლვოვის რეგიონის პატარ-პატარა ქალაქებიდან იყვნენ წარმოდგენილნი. ტრენინგს ატარებდა ორი პოლონელი მენტორი და იგი 24 საათს მოიცავდა.

დიაგრამა 10. ტრენინგის მონაწილეთა სქესი



38 მონაწილეს შორის 32 ადამიანი მდედრობითი სქესის იყო (84%) ხოლო 6 ადამიანი მამრობითი სქესის (16%). თითოეულ ეროვნულ ჯგუფში 2-2 მამაკაცია, პოლონურ და უკრაინულ ჯგუფებში 8-8 ქალია ხოლო ქართულ ჯგუფში 16 ქალი.

დიაგრამა 11. ტრენინგის მონაწილეთა ასაკი



35 მონაწილეს შორის დაახლოებით 1/3 39 წლამდე ასაკის ადამიანები არიან, კიდევ 1/3 - 40-49 წლის ასაკში მყოფი ადამიანები ხოლო დანარჩენი 1/3 არანაკლებ 50 წლის ასაკის ადამიანები. პოლონურ ჯგუფში ჭარბობს მონაწილეთა ყველაზე ახალგაზრდა კატეგორია, უკრაინულ ჯგუფში ჭარბობენ 40-49 წლის მონაწილეები. ქართულ ჯგუფში ასაკობრივი გადანაწილება ყველაზე უფრო პროპორციულია: თითოეულ გამორჩეულ ასაკობრივ კატეგორიაში 33%-33% მონაწილეთა პროცენტი შედის.

 დიაგრამა 12. ტრენინგის მონაწილეთა პროფესია



ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 28 მასწავლებელმა, 4 ფსიქოლოგმა, 4 პედაგოგმა, 1 სკოლის დირექტორმა და 1 დირექტორის მოადგილემ.

მასწავლებელთა ყველაზე დიდი პროცენტი ფიქსირდება ქართულ ჯგუფებში (15 ადამიანი), ყველაზე ნაკლები კი პოლონურ ჯგუფში (6 ადამიანი). ორ-ორი ფსიქოლოგია პოლონურ და ქართულ ჯგუფებში. პოლონურ ჯგუფშია ორი პედაგოგი, ქართულ და უკრაინულ ჯგუფებში კი თითო. სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე უკრაინულ ჯგუფში შედიან.

ტრენინგების შეფასება მონაწილეთა მიერ.

მეცადინეობათა დამთავრების შემდეგ თითოეულმა მონაწილემ შეავსო ტრენინგის შეფასების ფორმულარი რომელიც 10 შეკითხვისგან და მეტრიკისგან შედგება. პოლონურმა და უკრაინულმა ჯგუფებმა კითხვარის ფიზიკური ვერსია შეავსეს, ქართულმა ჯგუფმა კი ონლაინ ვერსია შეავსო კომპიუტერულად.

პოლონურ ჯგუფში შეფასების ფორმულარი შვიდმა მონაწილემ შეავსო (მათ ვინც ონლაინ ფორმით მონაწილეობდა ტრენინგში, კვლევაში მონაწილეობა არ მიიღეს).

მთლიანობაში ჩვენს განკარგულებაშია 35 ადამიანის კვლევის შედეგები (18 მონაწილე საქართველოდან, 10 მონაწილე უკრაინიდან და 7 მონაწილე პოლონეთიდან).

დიაგრამა 13. რა დონეზე მოგამზადათ ტრენინგმა პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ჩატარებისთვის



ყველა მონაწილემ მიუთითა რომ ტრენინგმა საკმარის დონეზე მოამზადა ისინი პრევენციული პროგრამის „კომპასი 2.0“-ის ჩასატარებლად. 34%-მა მიუთითა პასუხი *„პრინციპში კი“* ხოლო 66%-მა მიუთითა პასუხი *„ნამდვილად კი“*.

ყველაზე ხშირად პასუხი *„ნამდვილად კი“* გასცეს ქართული სატრენინგო ჯგუფების მონაწილეებმა (94%), ყველაზე ნაკლებად ასეთი პასუხი გასცეს უკრაინული ჯგუფის მონაწილეებმა (10%). პოლონურ ჯგუფში 71%-მა მიუთითა პასუხი *„ნამდვილად კი“*.

დიაგრამა 14. ტრენინგის განხორციელების მეთოდით კმაყოფილების ხარისხის შეფასება



ყველა მონაწილე ან *„პრინციპში კმაყოფილია“* (11%) ან *„ნამდვილად კმაყოფილია“* (89%) ტრენინგის ჩატარების მეთოდით.

ქართული ჯგუფების ყველა წევრმა მიუთითა პასუხი *„ნამდვილად კმაყოფილი“*.

ყველაზე იშვიათად პასუხი *„ნამდვილად კმაყოფილი“* გასცეს უკრაინული ჯგუფის მონაწილეებმა (თუმცა აქაც მათი პროცენტი ვინც ეს პასუხი გასცა ძალზე მაღალი იყო - 70%).

პოლონურ ჯგუფში პასუხი *„ნამდვილად კმაყოფილი“* გასცა მონაწილეთა 86%-მა.

დიაგრამა 15. ტრენინგის შესახებ არსებული თავდაპირველი ინფორმაციის მის შემდგომ რეალიზებასთან შესაბამისობის შეფასება



ტრენინგების მონაწილეთა ¾-მა მიუთითა რომ ტრენინგთან დაკავშირებული წინასწარი ინფორმაცია *„პრინციპში შეესაბამებოდა“* (მონაწილეთა 17%) ან *„ნამდვილად შეესაბამებოდა“* (მონაწილეთა 74%) მის შემდგომ რეალიზებას. გამოკვლეულთა 9%-მა (3 ადამიანი) ჩათვალა რომ ტრენინგთან დაკავშირებული წინასწარი ინფორმაცია *„საშუალოდ“* შეესაბამებოდა მის შემდგომ რეალიზებას.

საშუალო შეფასება აირჩიეს მხოლოდ უკრაინული ჯგუფის წარმომადგენლებმა. ამ ჯგუფში ყველაზე იშვიათად ირჩევდნენ შეფასებას - *„ნამდვილად შეესაბამებოდა“* (თუმცაღა ეს შეფასება ამ ჯგუფში ყველაზე ხშირი იყო – მონაწილეთა 40%).

ქართულ და პოლონურ ჯგუფებში შეფასებები მსგავსი იყო (დაახლოებით 10% ჩათვალა რომ *„პრინციპში შეესაბამებოდა“*, ხოლო 90%-მა ჩათვალა რომ *„ნამდვილად შეესაბამებოდა“*.

დიაგრამა 16. ტრენინგების ჩამტარებელთა კომპეტენციებისა და პროფესიული მომზადების შეფასება



უკლებლივ ყველა მონაწილემ მიუთითა რომ ტრენინგის ჩამტარებელთა კომპეტენციები და პროფესიული მომზადების დონე იყო უმაღლესი (პოლონელ მენტორთა წყვილი უკრაინულ ჯგუფში და ტრენერთა სამი წყვილი ქართულ ჯგუფებში) და ტრენინგები ნამდვილად კარგ დონეზე ჩატარდა.

დიაგრამა 17. ტრენინგების სირთულის დონის შეფასება



მონაწილეთა უმეტესობამ (60%) ჩათვალა რომ ტრენინგების სირთულის დონე იყო შესაბამისი. დანარჩენებმა ჩათვალეს რომ ტრენინგები იყო *„პრინციპში ადვილი“* (31%) ან *„ნამდვილად ძალიან ადვილი“* (9%).

ყველაზე ხშირად სირთულის დონე შესაბამისად ჩათვალეს პოლონური ჯგუფის მონაწილეებმა (86%), ყველაზე იშვიათად კი უკრაინული ჯგუფის მონაწილეებმა (50%).

შეფასება *„ნამდვილად ძალიან ადვილი“* - გააკეთეს მხოლოდ ქართული ჯგუფების წევრებმა (17%).

დიაგრამა 18. შეფასება იმისა მოსაწყენი იყო ტრენინგები თუ საინტერესო



ყველა მონაწილემ ჩათვალა რომ ტრენინგები იყო *„პრინციპში საინტერესო“* (20%) ან *„ნამდვილად საინტერესო“* (80%).

შეფასება *„ნამდვილად საინტერესო“* ყველაზე მეტ შემთხვევაში გააკეთეს ქართული ჯგუფების წევრებმა (94%), მეორე ადგილზე ამ თვალსაზრისით არიან პოლონური ჯგუფის წევრები (71%), ყველაზე ნაკლებ შემთხვევაში კი (თუმცა მაინც მაღალი პროცენტით) ეს შეფასება გააკეთეს უკრაინული ჯგუფის წევრებმა (60%).

დიაგრამა 19. ტრენინგების ხანგრძლივობის შეფასება



მონაწილეთა უდიდესმა უმრავლესობამ (91%) ჩათვალა რომ ტრენინგების ხანგრძლივობა (24 საათი 3 დღის განმავლობაში) იყო *„ზუსტად შესაფერისი ხანგრძლივობა“*. 9%-მა ჩათვალა რომ ტრენინგის *„ოდნავ ხანმოკლე“* იყო.

„ოდნავ ხანმოკლედ“ ტრენინგი შეაფასეს მხოლოდ უკრაინული ჯგუფის მონაწილეებმა.

დიაგრამა 20. ტრენინგების ინტენსიურობის დონის შეფასება



მონაწილეთა 71%-მა მიუთითა რომ ტრენინგები *„ოპტიმალურად ინტენსიური“* იყო. დანარჩენი მონაწილეების თვალსაზრისით ტრენინგი იყო *„პრინციპში ძალზე ინტენსიური“* (6%) ან *„ნამდვილად ძალზე ინტენსიური“* (23%).

პოლონური ჯგუფის ყველა წევრმა ტრენინგის ინტენსიურობის დონე ჩათვალა ოპტიმალურად. უკრაინული ჯგუფის მონაწილეებს შორის ტრენინგის ინტენსიურობის დონე ოპტიმალურად მიიჩნია 90%-მა.

ქართულ ჯგუფებში მხოლოდ მონაწილეთა ნახევარმა მიიჩნია ტრენინგები „ოპტიმალურად ინტენსიურად“ (50%). მხოლოდ ქართულ ჯგუფებში შეაფასეს მონაწილეებმა ტრენინგები *„ნამდვილად ძალზე ინტენსიურად“* (44%).

დიაგრამა 21. გამოყენებული სატრენინგო მასალების შეფასება



ყველა მონაწილემ მიიჩნია რომ ტრენინგზე გამოყენებული სასწავლო მასალები იყო *„პრინციპში კარგი“* (17%) ან *„ნამდვილად კარგი“* (83%).

ყველა ჯგუფში *„ნამდვილად კარგი“* შეფასების პროცენტი აჭარბებს 80%-ს. *„ნამდვილად კარგი“* შეფასების ყველაზე მაღალი პროცენტი (86%) დაფიქსირდა პოლონურ ჯგუფში.

დიაგრამა 22. ტრენინგის ჩატარების პირობების შეფასება



ყველა მონაწილემ მიიჩნია რომ ტრენინგის ჩატარების პირობები (ადგილი, სალექციო დარბაზები, კვება) იყო *„პრინციპში კარგი“* (14%) ან *„ნამდვილად კარგი“* (86%).

უკრაინულმა და ქართულმა ჯგუფებმა ყველაზე მაღალი შეფასებები გააკეთეს ამ თვალსაზრისით (შესაბამისად 90% და 89%). ყველაზე ნაკლებად ამ კუთხით უმაღლესი შეფასებები გააკეთეს პოლონური ჯგუფის მონაწილეებმა (თუმცა უმაღლესი შეფასებები მაინც პრევალირებდა სხვა შეფასებებს შორის - 71%).

ცხრილების, დიაგრამების და სხვა გრაფიკული ელემენტების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის კასკადური სატრენინგო სტრუქტურა 6

სურათი 1. იმ ქალაქების ადგილმდებარეობა რომლებშიც ჩატარდა პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებელთა ტრენინგების ქართული ნაწილი. 7

ცხრილი 1. „კომპასი 2.0“, კადრების ტრენინგების გრაფიკი 8

დიაგრამა 1. ტრენინგის მონაწილეთა ასაკი 9

დიაგრამა 2. ტრენინგის მონაწილეთა პროფესია 10

დიაგრამა 3. ტრენინგის ასპექტები რომლებიც მისაღებია მაქსიმალურად და გამონაკლისის გარეშე 11

დიაგრამა 4. შეფასება იმისა თუ რამდენად მოამზადა ტრენინგმა პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებლები თავიანთი ტრენინგების ჩასატარებლად 12

დიაგრამა 5. შეფასება იმისა თუ რამდენად შეესაბამება ტრენინგის შესახებ თავდაპირველად გაჟღერებული ინფორმაცია მის შემდგომ განხორციელებას 13

დიაგრამა 6. სატრენინგო პროგრამის სირთულის დონის შეფასება 14

დიაგრამა 7. პროგრამის ინტენსიურობის შეფასება 15

დიაგრამა 8. ტრენინგის განხორციელების პირობების შეფასება (ადგილი, სალექციო დარბაზები,კვება) 16

დიაგრამა 9. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განსახორციელებლად მოსამზადებელი ტრენინგების მონაწილეთა პროცენტული გადანაწილება ქვეყნებისა და ქალაქების მიხედვით 19

დიაგრამა 10. ტრენინგის მონაწილეთა სქესი 20

დიაგრამა 11. ტრენინგის მონაწილეთა ასაკი 21

დიაგრამა 12. ტრენინგის მონაწილეთა პროფესია 22

დიაგრამა 13. რა დონეზე მოგამზადათ ტრენინგმა პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ჩატარებისთვის 23

დიაგრამა 14. ტრენინგის განხორციელების მეთოდით კმაყოფილების ხარისხის შეფასება 24

დიაგრამა 15. ტრენინგის შესახებ არსებული თავდაპირველი ინფორმაციის მის შემდგომ რეალიზებასთან შესაბამისობის შეფასება 25

დიაგრამა 16. ტრენინგების ჩამტარებელთა კომპეტენციებისა და პროფესიული მომზადების შეფასება 26

დიაგრამა 17. ტრენინგების სირთულის დონის შეფასება 27

დიაგრამა 18. შეფასება იმისა მოსაწყენი იყო ტრენინგები თუ საინტერესო 28

დიაგრამა 19. ტრენინგების ხანგრძლივობის შეფასება 29

დიაგრამა 20. ტრენინგების ინტენსიურობის დონის შეფასება 30

დიაგრამა 21. გამოყენებული სატრენინგო მასალების შეფასება 31

დიაგრამა 22. ტრენინგის ჩატარების პირობების შეფასება 32

დანართები

დანართი 1. სატრენინგო პროგრამის შეფასების ფურცელი

|_____|
ფორმულარის ნომერი

პრევენციული პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ჩასატარებლად ორგანიზებული მოსამზადებელი ტრენინგის დასასრულს, გთხოვთ შეაფასოთ იგი, **სატრენინგო პროგრამის წინამდებარე ანონიმური შესაფასებელი ფორმულარის** შევსების საშუალებით.

---

1. ტრენინგში მონაწილეობამ საკმარის დონეზე მოგამზადათ თუ არა პრევენციული პროგრამა „კომპასი 2.0“-ის ჩასატარებლად?

*გთხოვთ ჩასვათ ნიშანი „**X**“ შესაბამის უჯრაში*

ნამდვილად არა	პრინციპში არა	საშუალოდ	პრინციპში კი	ნამდვილად კი
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

---

2. რამდენად კმაყოფილი ხართ ტრენინგის ჩატარების მეთოდით?

ნამდვილად უკმაყოფილო	პრინციპში უკმაყოფილო	საშუალოდ კმაყოფილი	პრინციპში კმაყოფილი	ნამდვილად კმაყოფილი
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

---

3. იყო თუ არა ტრენინგთან დაკავშირებული წინასწარი ინფორმაცია მის შემდგომ რეალიზაციასთან შესაბამისი?

ნამდვილად არა	პრინციპში არა	ნაწილობრივ კი ნაწილობრივ არა	პრინციპში კი	ნამდვილად კი
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

---

4. როგორ აფასებთ ტრენინგის ჩამტარებელთა კომპეტენციებს და პროფესიულ მომზადებას?

ნამდვილად ცუდად	პრინციპში ცუდად	საშუალოდ	პრინციპში კარგად	ნამდვილად კარგად
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

5. როგორ აფასებთ ტრენინგის სირთულის დონეს?

ნამდვილად ძალზე რთული	პრინციპში ძალზე რთული	სირთულის შესაბამისი დონე	პრინციპში ძალზე ადვილი	ნამდვილად ძალზე ადვილი
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

6. მოსაწყენი იყო ტრენინგი თუ საინტერესო?

ნამდვილად მოსაწყენი	პრინციპში მოსაწყენი	საშუალო	პრინციპში საინტერესო	ნამდვილად საინტერესო
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

7. ტრენინგის მიმდინარეობის პერიოდი ძალზე მოკლე იყო, „ზუსტად ისეთი როგორც უნდა ყოფილიყო“ თუ ძალზე გრძელი?

ნამდვილად ძალზე მოკლე	პრინციპში ძალზე მოკლე	ზუსტად ისეთი როგორც უნდა ყოფილიყო	პრინციპში ძალზე გრძელი	ნამდვილად ძალზე გრძელი
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

8. როგორ აფასებთ ტრენინგის ინტენსიურობას?

ნამდვილად ძალზე არაინტენსიური	პრინციპში ძალზე არაინტენსიური	ოპტიმალურად ინტენსიური	პრინციპში ძალზე ინტენსიური	ნამდვილად ძალზე ინტენსიური
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

9. როგორ აფასებ გამოყენებულ სატრენინგო მასალებს?

ნამდვილად ცუდად	პრინციპში ცუდად	საშუალოდ	პრინციპში კარგად	ნამდვილად კარგად
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

10. როგორ აფასებთ ტრენინგის ჩატარების პირობებს (ადგილი, სალექციო დარბაზი, კვება)?

ნამდვილად ცუდად	პრინციპში ცუდად	საშუალოდ	პრინციპში კარგად	ნამდვილად კარგად
1. ❑	2. ❑	3. ❑	4. ❑	5. ❑

M1. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სქესი

1. ❑ ქალი 2. ❑ კაცი

M2. გთხოვთ ჩაწეროთ თქვენი დაბადების წელი

|____|____|____|____|

M3. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი პროფესია

1. ❑ მასწავლებელი
2. ❑ ფსიქოლოგი
3. ❑ პედაგოგი
4. ❑ სხვა პროფესია, რომელი? …….

M4. საცხოვრებელი ადგილი

ქართული ვერსია

1. ❑ თბილისი 2. ❑ თბილისს გარეთ

უკრაინული ვერსია

1. ❑ ლვოვი 2. ❑ რეგიონი

გმადლობთ რომ დრო დაუთმეთ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემას!

დანართი 2. ტრენერთა ტრენინგი - ცხრილები

1. ტრენინგში მონაწილეობამ საკმარის დონეზე მოგამზადათ თუ არა პრევენციული პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებლებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად?		
	პროცენტი	N=6
პრინციპში კი	17%	1
ნამდვილად კი	83%	5
2. რამდენად კმაყოფილი ხართ ტრენინგის ჩატარების მეთოდით?		
	პროცენტი	N=6
ნამდვილად კმაყოფილი	100%	6
3. იყო თუ არა ტრენინგთან დაკავშირებული წინასწარი ინფორმაცია მის შემდგომ რეალიზაციასთან შესაბამისი?		
	პროცენტი	N=6
პრინციპში კი	33%	2
ნამდვილად კი	67%	4
4. როგორ აფასებთ ტრენინგის ჩამტარებელთა კომპეტენციებს და პროფესიულ მომზადებას?		
	პროცენტი	N=6
ნამდვილად კარგად	100%	6
5. როგორ აფასებთ ტრენინგის სირთულის დონეს?		
	პროცენტი	N=6
სირთულის შესაბამისი დონე	33%	2
პრინციპში ძალზე ადვილი	67%	4
6. მოსაწყენი იყო ტრენინგი თუ საინტერესო?		
	პროცენტი	N=6
ნამდვილად საინტერესო	100%	6
7. ტრენინგის მიმდინარეობის პერიოდი ძალზე მოკლე იყო, „ზუსტად ისეთი როგორც უნდა ყოფილიყო“ თუ ძალზე გრძელი?		
	პროცენტი	N=6
ზუსტად ისეთი როგორც უნდა ყოფილიყო	100%	6

8. როგორ აფასებთ ტრენინგის ინტენსიურობას?		
	პროცენტი	N=6
ოპტიმალურად ინტენსიური	50%	3
პრინციპში ძალზე ინტენსიური	17%	1
ნამდვილად ძალზე ინტენსიური	33%	2

9. როგორ აფასებ გამოყენებულ სატრენინგო მასალებს?		
	პროცენტი	N=6
ნამდვილად კარგად	100%	6
10. როგორ აფასებთ ტრენინგის ჩატარების პირობებს (ადგილი, სალექციო დარბაზი, კვება)?		
	პროცენტი	N=6
პრინციპში კარგად	17%	1
ნამდვილად კარგად	83%	5
ასაკი		
	პროცენტი	N=6
28 წელი		1
30 წელი		1
38 წელი		1
50 წელი		1
51 წელი		1
54 წელი		1
პროფესია		
პროფესია	**პროცენტი**	**N=6**
მასწავლებელი	17%	1
ფსიქოლოგი	83%	5

დანართი 3. პროგრამა „კომპასი 2.0“-ის განმახორციელებელთა ტრენინგი – ცხრილები

1. ტრენინგში მონაწილეობამ საკმარის დონეზე მოგამზადათ თუ არა პრევენციული პროგრამა „კომპასის“ ჩასატარებლად?								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
პრინციპში კი	12	34,3%	9	90,0%	2	28,6%	1	5,6%
ნამდვილად კი	23	65,7%	1	10,0%	5	71,4%	17	94,4%
2. რამდენად კმაყოფილი ხართ ტრენინგის ჩატარების მეთოდით?								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
პრინციპში კმაყოფილი	4	11,4%	3	30,0%	1	14,3%		
ნამდვილად კმაყოფილი	31	88,6%	7	70,0%	6	85,7%	18	100,0%
3. იყო თუ არა ტრენინგთან დაკავშირებული წინასწარი ინფორმაცია მის შემდგომ რეალიზაციასთან შესაბამისი?								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
საშუალოდ	3	8,6%	3	30,0%				
პრინციპში კი	6	17,1%	3	30,0%	1	14,3%	2	11,1%
ნამდვილად კი	26	74,3%	4	40,0%	6	85,7%	16	88,9%
4. როგორ აფასებთ ტრენინგის ჩამტარებელთა კომპეტენციებს და პროფესიულ მომზადებას?								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
ნამდვილად კარგად	35	100,0%	10	100,0%	7	100,0%	18	100,0%
5. როგორ აფასებთ ტრენინგის სირთულის დონეს?								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტ	N=10	პროცენტ	N=7	პროცენტ	N=18	პროცენტ

		ი		ი		ი		ი
სირთულის შესაბამისი დონე	21	60,0%	5	50,0%	6	85,7%	10	55,6%
პრინციპში ძალზე ადვილი	11	31,4%	5	50,0%	1	14,3%	5	27,8%
ნამდვილად ძალზე ადვილი	3	8,6%					3	16,7%

6. მოსაწყენი იყო ტრენინგი თუ საინტერესო?

	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
;								
საინტერესო								
ნამდვილად საინტერესო	28	80,0%	6	60,0%	5	71,4%	17	94,4%

7. ტრენინგის მიმდინარეობის პერიოდი ძალზე მოკლე იყო, „ზუსტად ისეთი როგორც უნდა ყოფილიყო“ თუ ძალზე გრძელი?

	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
ოდნავ მოკლე	3	8,6%	3	30,0%				
ზუსტად ისეთი როგორც უნდა ყოფილიყო	32	91,4%	7	70,0%	7	100,0%	18	100,0%

8. როგორ აფასებთ ტრენინგის ინტენსიურობას?

	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
ოპტიმალურად ინტენსიური	25	71,4%	9	90,0%	7	100,0%	9	50,0%
პრინციპში ძალზე ინტენსიური	2	5,7%	1	10,0%			1	5,6%

ნამდვილად ძალზე ინტენსიური	8	22,9%					8	44,4%

9. როგორ აფასებ გამოყენებულ სატრენინგო მასალებს?								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
პრინციპში კარგად	6	17,1%	2	20,0%	1	14,3%	3	16,7%
ნამდვილად კარგად	29	82,9%	8	80,0%	6	85,7%	15	83,3%
10. როგორ აფასებთ ტრენინგის ჩატარების პირობებს (ადგილი, სალექციო დარბაზი, კვება)?								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
პრინციპში კარგად	5	14,3%	1	10,0%	2	28,6%	2	11,1%
ნამდვილად კარგად	30	85,7%	9	90,0%	5	71,4%	16	88,9%
ასაკი								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=35	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=7	პროცენტი	N=18	პროცენტი
27-39 წელი	12	34,3%	3	30,0%	3	42,9%	6	33,3%
40-49 წელი	12	34,3%	4	40,0%	2	28,6%	6	33,3%
50-60 წელი	11	31,4%	3	30,0%	2	28,6%	6	33,3%
პროფესია								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=38	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=18	პროცენტი
მასწავლებელი	28	74%	7	70%	6	60%	15	83%
ფსიქოლოგი	4	11%			2	20%	2	11%
პედაგოგი	4	11%	1	10%	2	20%	1	6%
სხვა პროფესია	2	5%	2	20%				
ქალაქი								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=38	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=18	პროცენტი

ლვოვი	5	13%	5	13%				
რეგიონი	5	13%	5	13%				
ვარშავა	3	8%			3	8%		
ბიდგოშჩი	4	11%			4	11%		
კრუშინი	1	3%			1	3%		
ლაბიშინი	2	5%			2	5%		
ქუთაისი	6	16%					5	13%
თბილისი	6	16%					7	18%
თელავი	6	16%					6	16%
სქესი								
	მთლიანად		უკრაინა		პოლონეთი		საქართველო	
	N=38	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=10	პროცენტი	N=18	პროცენტი
ქალი	32	84,2%	8	80,0%	8	80,0%	16	88,9%
კაცი	6	15,8%	2	20,0%	2	20,0%	2	11,1%